საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

08/02/2024
N 09-02-16/71

71-09-02-16-2-202402081403

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წლიდან დღემდე გარემოს ეროვნული სააგენტოს ან აჭარის ა.რ მთავრობის/სამინისტროების/სხვა უწყებების მიერ გამოგზავნილი საფრთხეების შეფასების ყოველწლიური ანგარიშების, ეკოლოგიური, გეოლოგიური და სხვა ბიულეტენების, სამოქმედო გეგმების შესახებ დოკუმენტების (დასკვნა/ბიულეტენი/რეკომენდაცია/წერილი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი) ასლები, ასევე თქვენს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის/შესაბამისი რეაგირების გადაწყვეტილებების ასლები;
2. წერილებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე გაგზავნილი ანგარიშების/სამოქმედო გეგმებისა და სხვა დოკუმენტების ასლები;
3. 2013 წლიდან დღემდე შავი ზღვის სანაპირო ზოლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის საფრთხეებთან, ასევე განაშენიანებასთან დაკავშირებით გარემოს ეროვნული სააგენტოს, აჭარის მთავრობისა და სამინისტროების მიერ მოწოდებული დასკვნების/კვლევების, რეკომენდაციების, სამოქმედო გეგმების ასლები, ასევე წერილების ასლები(დანართებთან ერთად), ასევე მათ შესრულებასთან დაკავშირებით თქვენს მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმისა და სხვა დოკუმენტების ასლები;
4. 2013 წლიდან დღემდე მერიის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფრთხეებთან და მათ პრევენციასთან დაკავშირებით მომზადებული, კვლევების, რეკომენდაციების ასლები, ასევე შესაბამის სამსახურებზე გაგზავნილი დოკუმენტების ასლები, დანართებთან ერთად;
5. გქონდათ თუ არა კონსულტაციები/შეხვედრები/განხილვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან/შესაბამის სამსახურებთან, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან კრიზისის მართვის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი

ინფორმაცია/დოკუმენტების ასლები და კრიზისების მართვის სამოქმედო გეგმის ასლი;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"